შპს “იუაი“

საწყისი ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 1

საწყისი ფინანსური ანგარიშგება
სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგება 4
ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგება 5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების საწყისი ანგარიშგება 6
ფულადი ნაკადების საწყისი ანგარიშგება 7

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 8-19

ფალიაშვილის ქუჩა 27/29, თბილისი, საქართველო, 0179
Paliashvili street 27/29, Tbilisi, Georgia, 0179
☎ +995 32 2252501 | E-mail: info@consultis.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “იუაის” აქციონერებს

საწყისი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “იუაის” (შემდგომში „კომპანია“) საწყისი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებებისგან 2019 წლის 30 ივნისისა და 2018 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, ასევე 2019 წლის 30 ივნისით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების საწყისი ანგარიშგებისგან, ფულადი სახსრების საწყისი ანგარიშგებისა და საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი საწყისი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 30 ივნისისა და 2018 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2019 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მსს ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ, მე 2 შენიშვნაზე, რომელიც განმარტავს რომ ეს წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის მიერ მსს ფასს ზე გადასვლის მიზნით. ამ წინასწარ ფინანსური ანგარიშგებას შესაძლოა დასჭირდეს კორექტირება, მანამ სანამ მას კომპანია გამოიყენებს მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული, 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და აღნიშნული თარიღით დამთავრებული, პირველი ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის მოსამზადებლად. ეს ფინანსური ანგარიშგება, გარდა 2019 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის მომზადებული წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა, არ შეიცავს წინა წლის შესადარის ინფორმაციას. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან მიმართებით.

კომპანიის 2019 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2019 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა საწყისი ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

საწყის ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ შეეხება და მასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

საწყისი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ფალიაშვილის ქუჩა 27/29, თბილისი, საქართველო, 0179
Paliashvili street 27/29, Tbilisi, Georgia, 0179
☎ +995 32 2252501 | E-mail: info@consultis.ge

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა საწყის ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ საწყის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის იმ მოთხოვნების შესაბამისად რომელიც რელევანტურია ამ ფინანსური ანგარიშგებისათვის, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

საწყისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის საწყისი ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, საწყისი ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ საწყის ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად,

- სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

ფალიაშვილის ქუჩა 27/29, თბილისი, საქართველო, 0179
Paliashvili street 27/29, Tbilisi, Georgia, 0179
☎ +995 32 2252501 | E-mail: info@consultis.ge

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- მთლიანობაში ვაფასებთ საწყისი ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს საწყისი ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა საწყისი ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ვახტანგ ნამორაძე
შპს კონსალტისი
თბილისი, საქართველო
2020 წლის 1 ივნისი

CONSULTIS

ფალიაშვილის ქუჩა 27/29, თბილისი, საქართველო, 0179
Paliashvili street 27/29, Tbilisi, Georgia, 0179
☎ +995 32 2252501 | E-mail: info@consultis.ge

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- მთლიანობაში ვაფასებთ საწყისი ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს საწყისი ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა საწყისი ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ვახტანგ ნამორაძე
შპს კონსალტისი
თბილისი, საქართველო
2020 წლის 1 ივნისი

სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგება

2019 წლის 30 ივნისით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნა	2019
ამონაგები მომსახურების გაწევიდან		18,289,288
საერთო მოგება		**18,289,288**
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		9,278,938
შესყიდული მომსახურების ხარჯი		1,233,199
იჯარის ხარჯი		708,463
საოფისე ხარჯი		241,592
ამორტიზაცია და ცვეთა	5	303,303
პროფესიული გადამზადების ხარჯი		301,241
მივლინების ხარჯი		250,382
წარმომადგენლობითი ხარჯი		194,625
მარკეტინგის ხარჯი		167,404
ტრანსპორტირების ხარჯი		62,603
საოფისე ტექნიკის და კომუნიკაციის ხარჯი		93,241
დაზღვევის ხარჯი		82,091
სხვა საოპერაციო ხარჯი		265,291
სულ საოპერაციო მოგება		**5,106,915**
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი		1,237,723
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		59,689
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(41,741)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		164,101
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		**6,526,687**
მოგების გადასახადის ხარჯი	10	535,475
წლის მოგება		**5,991,212**
სხვა სრული შემოსავალი		-
წლის მთლიანი სრული მოგება		**5,991,212**

ეს საწყისი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელძღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2020 წლის 1 ივნისს

რუსლან ხოროშვილი	ქეთევან ხარაბაძე
მმართველი პარტნიორი	ფინანსური დირექტორი
შპს „იუაი“	შპს „იუაი“

8-19 გვერდებზე დართული შენიშვნები ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგება

2019 წლის 30 ივნისით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნა	2019
ამონაგები მომსახურების გაწევიდან		18,289,288
საერთო მოგება		**18,289,288**
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		9,278,938
შესყიდული მომსახურების ხარჯი		1,233,199
ოჯარის ხარჯი		708,463
საოფისე ხარჯი		241,592
ამორტიზაცია და ცვეთა	5	303,303
პროფესიული გადამზადების ხარჯი		301,241
მივლინების ხარჯი		250,382
წარმომადგენლობითი ხარჯი		194,625
მარკეტინგის ხარჯი		167,404
ტრანსპორტირების ხარჯი		62,603
საოფისე ტექნიკის და კომუნიკაციის ხარჯი		93,241
დაზღვევის ხარჯი		82,091
სხვა საოპერაციო ხარჯი		265,291
სულ საოპერაციო მოგება		**5,106,915**
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი		1,237,723
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		59,689
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(41,741)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		164,101
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		**6,526,687**
მოგების გადასახადის ხარჯი	10	535,475
წლის მოგება		**5,991,212**
სხვა სრული შემოსავალი		-
წლის მთლიანი სრული მოგება		**5,991,212**

ეს საწყისი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2020 წლის 1 ივნისს

რუსლან ხოროშვილი
მმართველი პარტნიორი
შპს „იუაი“

ქეთევან ხარაბაძე
ფინანსური დირექტორი
შპს „იუაი“

8-19 გვერდებზე დართული შენიშვნები ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგება

2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

(თანხები ლარი)

	შენიშვნა	30 ივნისი 2019	1 ივლისი, 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	789,495	751,030
არამატერიალური აქტივები		2,689	2,699
სულ გრძელვადიანი აქტივები		**792,184**	**753,729**
მოკლევადიანი აქტივები			
სხვა აქტივები		134,535	115,494
წმინდა საგადასახადო აქტივი		364,889	947,064
დებიტორული დავალიანება	6	4,276,636	3,190,812
სადეპოზიტო სერთიფიკატი	7	1,722,852	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	7,463,206	5,740,565
სულ მიმდინარე აქტივები		**13,962,118**	**9,993,935**
სულ აქტივები		**14,754,302**	**10,747,664**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	21,500	21,500
გაუნაწილებელი მოგება		11,449,777	8,375,625
სულ კაპიტალი		**11,471,277**	**8,397,125**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	9	798,712	368,569
მიღებული ავანსები		616,793	725,387
გადასახდელი ხელფასები		1,637,584	1,096,570
სხვა ვალდებულებები		229,936	160,013
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**3,283,025**	**2,350,539**
სულ ვალდებულებები		**3,283,025**	**2,350,539**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**14,754,302**	**10,747,664**

8-19 გვერდებზე დართული შენიშვნები ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების საწყისი ანგარიშგება
2019 წლის 30 ივნისით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(თანხები ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 ივლისის მდგომარეობით	10	21,500	8,375,625	8,397,125
წლის მთლიანი სრული მოგება		-	5,991,212	5,991,212
დივიდენდი			(2,917,060)	(2,917,060)
ნაშთი 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით		**21,500**	**11,449,777**	**11,471,277**

ფულადი ნაკადების საწყისი ანგარიშგება
2019 წლის 30 ივნისით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(თანხები ლარში)

	შენიშვნა	2019
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		6,526,687
არაფულადი კორექტირებები დაბეგვრამდე ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:		
ამორტიზაცია და ცვეთა	5	303,303
საეჭვო ვალის რეზერვის ხარჯი		35,628
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		(164,101)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა		(1,237,723)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		**5,463,794**
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები		
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში		(823,360)
წმინდა ცვლილება საგადასახადო აქტივებში		582,175
ცვლილება სხვა აქტივებში		(5,519)
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში		427,333
ცვლილება მიღებულ ავანსებში		(108,595)
ცვლილება გადასახდელ ხელფასებში		541,014
ცვლილება სხვა ვალდებულებებში		46,411
		6,123,253
გადახდილი მოგების გადასახადი		(535,475)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		154,648
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**5,742,426**
საინვესტიციო საქმიანობა		
სადეპოზიტო სერთიფიკატში გადახდილი თანხები		(1,388,671)
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები		(342,242)
ძირითადი საშუალების გაყიდვა		474
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(1,730,439)**
ფინანსური საქმიანობა		
გადახდილი დივიდენდი	10	(2,917,060)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(2,917,060)**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**1,094,927**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 ივლისის მდგომარეობით	8	5,740,565
წმინდა საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		627,714
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	8	**7,463,206**

8-19 გვერდებზე დართული შენიშვნები ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „იუაი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2002 წელს, (სარეგისტრაციო ნომერი: 204441158) საქართველოში, ქალაქ თბილისში.

2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის მესაკუთრეები არიან: შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია ერნსტ ენდ იანგ ჰოლდინგს (დსთ) ბი. ვი. 49%, მარჩელო გელაშვილი 12.75%, ოლეგ იუშენკოვი 12.75%, რუსლან ხოროშვილი 12.75% და ანასტასია ვინოგრადოვა 12.75%.

კომპანია ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აუდიტორული, საგადასახადო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა საქართველოში. იგი არის, გლობალური პროფესიული მომსახურების კომპანიის, EY-ის წარმომადგენლობა საქართველოში.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, თბილისი, ძველი თბილისი რაიონი, კ.აფხაზის ქ., №44.

2. მომზადების საფუძველი

2020 წლის 1 ივნისს კომპანიამ მოამზადა 2019 წლის 30 ივნისით დასრულებული წლის წინასწარი ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსს“) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე („მსს ფასს-ის სტანდარტები“) გადასვლის მიზნით.

კომპანიას აქამდე არ გამოუშვია ფინანსური ანგარიშგება ფინანსური აღრიცხვის სხვა რომელიმე სტანდარტების მიხედვით. რადგანაც კომპანიას არ გამოუშვია ფინანსური ანგარიშგება შესადარისი პერიოდებისთვის სხვა ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების მიხედვით, ეს ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს განმარტებებს იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედა ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპებიდან მსს ფასს-ის სტანდარტზე გადასვლამ მის გაცხადებულ საწყის ფინანსურ მდგომარეობაზე, საწყისს შედეგებსა და საწყის ფულად ნაკადებზე.

საწყისი ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ მოამზადა მსს ფასს-ის სტანდარტების საფუძველზე. ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა ყველა მსს ფასს-ის სტანდარტების მოთხოვნები, რომლებიც ამ დროისთვის გამოშვებულია და, რამდენადაც ცნობილია, ძალაში დარჩება 2019 სააღრიცხვო წლისთვის. მსს ფასს-ის სტანდარტების თანახმად, წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის მიერ პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის მოქმედ თითოეულ მსს ფასს-ის სტანდარტების მოთხოვნებს, მსს ფასს-ის სტანდარტების 35-ე განყოფილებაში გათვალისწინებული გარკვეული გამონაკლისებით, როგორც ეს ამ შენიშვნაშია აღწერილი. შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს, რომ ამგვარი ცვლილებების გამო მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებულ საწყის ფინანსურ ანგარიშგებას გარკვეული კორექტირებები დასჭირდეს.

ხელმძღვანელობა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ეს საწყისი ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რადგან მასში არ არის შესული შესადარისი ფინანსური ინფორმაცია, შესაბამისად, იგი მსს ფასს-ის მიხედვით სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას. ეს შესაძლებელია მხოლოდ შესადარისი ფინანსური ინფორმაციის შემცველი ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის მომზადებით.

ეს საწყისი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ამ საწყის ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ საწყისი ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები:

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

საწარმო მის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების ასახვისათვის იყენებს მოკლევადიან/გრძელვადიან კლასიფიკაციას.
აქტივი არის მოკლევადიანი თუ:

- ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა, ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება არის მოკლევადიანი თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში მაინც.

ყველა სხვა სახის ვალდებულება მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებად.

რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

- მოცემული აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- მოცემული აქტივისთვის, ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე, თუ არ არსებობს ძირითადი ბაზარი.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი უნდა იყო ხელმისაწვდომი საწარმოსათვის.

კომპანია აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულებას ისეთი დაშვებების გამოყენებით აფასებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას, თუკი იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლის დროსაც მაქსიმალურად იყენებენ საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამონაგები

შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდისაა გადახდა მიღებული. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.

შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

<u>მომსახურება</u>

მომსახურებისგან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევის პროპორციულად.

<u>საპროცენტო შემოსავალი</u>

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

უცხოური ვალუტები

კომპანიის საწყისი ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის ფუქნციონალური ვალუტაცაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან კომპანიის მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული გაცვლითი კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

ქვემოთ მოცემულია გაცვლითი კურსები წლის ბოლოს მდგომარეობით, რომლებიც კომპანიამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებისთვის გამოიყენა:

	2019 წლის 30 ივნისი	2018 წლის 1 ივლისი
აშშ დოლარი/ლარი	2.8687	2.4516

	2019 წლის 30 ივნისი	2018 წლის 1 იანვარი
ევრო/ლარი	3.2657	2.8537

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე საგადასახადო დავალიანებას.

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. ამგვარი მოგება დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგების საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებითი ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;

- დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის წმინდა საგადასახადო აქტივის ან წმინდა საგადასახადო ვალდებულების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები: კომპიუტერული და ქსელური აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალებები, საიჯარო ქონების გაუმჯობესება, ოფისის და სხვა აღჭურვილობა აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი.

ძირითადი საშუალებების მუხლის პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის ნასყიდობის ღირებულებას, მათ შორის იმპორტის მოსაკრებელს და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო ფასდათმობების და ფასდაკლებების გამოკლების შემდეგ; (ბ) ნებისმიერ თვითღირებულებას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მუხლის მისთვის საჭირო ადგილზე და პირობებში მისატანად, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული წესით ფუნქციონირება; (გ) დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის ხარჯებს ასევე, იმ ტერიტორიის აღდგენის ღირებულებას, რომელზედაც ამგვარი აქტივი იყო განთავსებული, და (დ) იმ ვალდებულებას, რომელსაც კისრულობს კომპანია აქტივის შეძენისას ან, მუხლის გამოყენების შედეგად კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, რისი მიზანიც არ არის ამ პერიოდში სასაქონლო-მატერიალური მარაგების წარმოება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ამის შემდეგ, კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გაუმჯობესებების და ჩანაცვლებების მთავარ დანახარჯებს, რომელიც ახანგრძლივებს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ზრდის მათ მიერ შემოსავლის გენერირების შესაძლებლობას. რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯი, რომელიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოთ ხსენებულ კრიტერიუმებს, აისახება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში, მათი გაწევისთანავე.

ძირითად აქტივებზე ცვეთა ირიცხება ისეთი ფორმით, რომ ჩამოიწეროს ცვეთადი ღირებულება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ის დაანგარიშდება პროპორციული ჩამოწერის მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები არის შემდეგი:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო გამოყენების ვადები წლების მიხედვით
სატრანსპორტო საშუალებები	5
კომპიუტერული და ქსელური აღჭურვილობა	3-5
ოფისის აღჭურვილობა	7
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	10 (ან იჯარის ამოწურვამდე)
სხვა აღჭურვილობა	5

ცვეთადი ღირებულება წარმოადგენს სხვაობას ძირითადი საშუალებების თვითღირებულებისა და მის ნარჩენ ღირებულებას შორის. ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია ძირითადი საშუალებების მუხლის გასხვისებიდან მიიღებდა, გასხვისების სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორიც მოსალოდნელია სასარგებლო გამოყენების ვადის დასრულებისთვის.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება. წინა შეფასებების ნებისმიერი ცვლილების ეფექტი პერსპექტიულად აღირიცხება, სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალებების მუხლის გაყიდვიდან ან განკარგვიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო და მოსალოდნელია, რომ კომპანიისგან მოთხოვნილი იქნება ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელი იქნება ვალდებულებების მოცულობის საიმედოდ შეფასება. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება.

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია მისაღები თანხის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის საწყის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივთებული სარგებლის გასვლა მოსალოდნელია შორეულ მომავალში. პირობითი აქტივები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის საწყის ანგარიშგებაში, თუმცა, საწყის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებად, გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მისაღებ ანგარიშებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივები წარმოადგენს ფულად სახსრებს, სადეპოზიტო სერთიფიკატს და დებიტორულ დავალიანებას.

<u>ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი</u>

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯების განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ყველა გადახდილი და მიღებული გასამრჯელო, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემიები თუ დისკონტები) დისკონტირებას სავალო ინსტრუმენტის მოქმედების მოსალოდნელ ვადაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე ვადაზე, თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სასესხო ინსტრუმენტების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

<u>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</u>

ფინანსური მდგომარეობის საწყის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკებში განთავსებული სახსრებისგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

<u>სადეპოზიტო სერთიფიკატი</u>

სადეპოზიტო სერთიფიკატის შემდგომი შეფასება ასევე ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოსალოდნელი უიმედო თანხების შესაბამისი რეზერვები აღიარდება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში, როდესაც არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული რეზერვი ფასდება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობის სახით, რომელიც დისკონტირდება თავდაპირველი აღიარებისას დაანგარიშებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანებების შემდგომი შეფასება ასევე ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები, რომლებსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აღირიცხება. მოსალოდნელი უიმედო თანხების შესაბამისი რეზერვები აღიარდება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში, როდესაც არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული რეზერვი ფასდება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობის სახით, რომელიც დისკონტირდება თავდაპირველი აღიარებისას დაანგარიშებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ყველა დანარჩენი ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება იქნება:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების პირობების დარღვევა, როგორიც არის ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში. გამონაკლისია სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომელთა შემთხვევაშიც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო დებიტორული დავალიანება უიმედოდ ჩაითვლება, ის ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზირებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს ამ აქტივით უზრუნველყოფილ სესხს, იმ თანხის ოდენობით რა თანხასაც კომპანია მიიღებს.

ფინანსური აქტივის მთლიანობაში აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების არასრულად შეწყვეტის შემთხვევაში (მაგ. როდესაც კომპანია იტოვებს გადაცემული აქტივის ნაწილის გამოსყიდვის უფლებას), კომპანია ფინანსური აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას გადაანაწილებს იმ ნაწილზე, რომელშიც მონაწილეობის შენარჩუნებასაც აღიარებს, და იმ ნაწილზე, რომელსაც აღარ აღიარებს, გადაცემის თარიღისთვის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით. აღიარება შეწყვეტილი ნაწილისთვის მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა და აღიარება შეწყვეტილ ნაწილში მიღებული საზღაურისა და მასზე განაწილებული და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი ნამეტი შემოსავლის ან ზარალის ჯამს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ნაწილდება იმ ნაწილს, რომლის აღიარებაც გრძელდება და აღიარება შეწყვეტილ ნაწილს შორის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (რომლებიც წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებით) აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგება ან ზარალის და სხვა შემოსავლის ანგარიშგებაში.

მიღბული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს კლიენტებისგან, გაწეული მომსახურებისათვის წინასწარ მიღებულ თანხებს და აღირიცხება თვითღირებულებით. კომპანია ახდენს მიღებული ავანსების შემოსავალში აღიარებას, მომსახურების გაწევის პროპორციულად.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

წინასწარ გადახდილი გადასახადები და საგადასახადო დავალიანება

წინასწარ გადახდილი გადასახადები ნომინალური ღირებულებით აღირიცხება მოსალოდნელი უიმედო თანხების რეზერვის გამოკლებით. მოგების გადასახადის გარდა სხვა საგადასახადო დავალიანება ნომინალური ღირებულებით აღირიცხება.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, უიმედო თანხების რეზერვის გამოკლებით.

იჯარა

იჯარები კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარებად, იჯარის პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და უფლების გადაცემა. ყველა სხვა იჯარა საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირდება.

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლისა.

4. შეფასებები და დაშვებები

კომპანიის, საწყისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები

კომპანიის ხელმძღვანელობა მიმართავს მნიშვნელოვან დაშვებებს ფინანსური წლის განმავლობაში მოხმარებული ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადების შეფასებებისათვის. ძირითადი საშულებების სასარგებლო გამოყენების ვადები და ნარჩენი ღირებულების სისწორის გადახედვა ხდება ფინანსური წლის ბოლოს. ამ გადახედვის შედეგად, საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ახდენს შესაბამისი შესწორებების შეტანას ფინანსურ ანგარიშგებაში.

შემოსავლის აღიარება

კომპანია ახორციელებს მნიშვნელოვან დაშვებებს, რომელიც გავლენას ახდენს მის მიერ შემოსავლების აღიარებაზე. თითოეული კლიენტისაგან მიღებული შემოსავალი აღიარდება მომსახურების გაწევის პროპორციულად, კომპანიის მიერ, ამ კონკრეტულ კლიენტთან დადებული კონტრაქტის ფარგლებში გახარჯული დროის გათვალისწინებით. კომპანია ახდენს თითოეული კონტრაქტის ჭრილში დახარჯული დროის შესაბამის აღრიცხვას და პერიოდის ბოლოს ამონაგების კორექტირებას, გაწეული მომსახურების დროის გათვალისწინებით. შემოსავლის თავდაპირველი აღიარება ხდება თითოეული კონტრაქტის ჭრილში გაკეთებული ბიუჯეტის შესაბამისად. ხელმძღვანელობა პერიოდულად ახორციელებს ბიუჯეტის გადახედვას, რათა საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს აღიარებული შემოსავლების კორექტირება. დროის მონეტარული ღირებულება, მომსახურებაში ჩართული თითოეული თანამშრომლისათვის დგინდება კომპანიის ხარჯებისა და ინდივიდუალური კონტრაქტის მომგებიანობის გათვალიწინებით.

5. ძირითადი საშუალებები

2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები შედგებოდა შემდეგისგან:

	კომპიუტერული და ქსელური აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	იჯარის გაუმჯობესება	სხვა აღჭურვილობა	სულ
თვიღირებულება 1 ივლისი 2018	**1,043,565**	**101,642**	**594,981**	**502,666**	**28,085**	**2,270,939**
შემოსვლა	198,720	-	103,103	36,954	3,465	**342,242**
გასვლა	3,560	50,821	-	-	-	**(54,381)**
30 ივნისი 2019	**1,238,725**	**50,821**	**698,084**	**539,620**	**31,550**	**2,558,800**
დაგროვილი ცვეთა 1 ივლისი 2018	**724,367**	**94,903**	**476,159**	**200,425**	**24,054**	**1,519,909**
შემოსვლა	187,071	6,739	53,319	51,904	4,271	**303,303**
გასვლა	3,086	50,821	-	-	-	**(53,907)**
30 ივნისი 2019	**908,353**	**50,821**	**529,478**	**252,329**	**28,325**	**1,769,305**
საბალანსო ღირებულება						
1 ივლისი 2018 წელი	**319,198**	**6,739**	**118,822**	**302,241**	**4,031**	**751,030**
30 ივნისი 2019 წელი	**330,372**	**-**	**168,606**	**287,291**	**3,225**	**789,495**

6. დებიტორული დავალიანება

	30 ივნისი, 2019	1 ივლისი, 2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	4,862,915	3,741,463
საეჭვო ვალების რეზერვი	(586,279)	(550,651)
	4,276,636	**3,190,812**

კომპანიის საეჭვო ვალების ცვლილება, 2019 წლის განმავლობაში შეადგენდა

	2019
1 ივლისი, 2018	**550,651**
საეჭვო ვალების რეზერვის ხარჯი	35,628
საეჭვო ვალების ჩამოწერა	-
30 ივნისი, 2019	**586,279**

7. სადეპოზიტო სერთიფიკატი

კომპანიამ, 2019 წლის 4 აპრილს შეიძინა 609 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების 1,000 ცალი სადეპოზიტო სერთიფიკატი სს "თიბისი ბანკისაგან". სადეპოზიტო სერთიფიკატის ვადა 2019 წლის 4 ოქტომბერს იწურება.

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	30 ივნისი, 2019	1 ივლისი, 2018
ფული ბანკში	7,462,209	5,739,869
სალარო	997	696
	7,463,206	**5,740,565**

9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	30 ივნისი, 2019	1 ივლისი, 2018
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	124,476	79,105
ვალდებულებები შესყიდული მომსახურებების მომწოდებლების მიმართ	674,236	289,464
	798,712	**368,569**

10. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 21,500 ლარს (2018 წლის 1 ივლისის მდგომარეობით - 21,500 ლარი). 2018 წლის 24 ივლისსა და 2019 წლის 10 აპრილს კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდის გაცემა 1,082,040 ლარისა და 1,835,020 ლარის ოდენობით. დივიდენდის გადახდა მოხდა 2018 წლის 7 სექტემბერსა და 2019 წლის 1 მაისს. დივიდენდთან დაკავშირებულმა მოგების გადასახადმა შეადგინა 514,775 ლარი.

11. დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები

2019 წლის განმავლობაში ადგილი ქონდა შემდეგ ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან:

	2019
	დაკავშირებული საწარმო
ამონაგები	1,279,529
შესყიდული მომსახურების ხარჯები	1,140,091
სხვა საოპერაციო ხარჯები	39,729
დებიტორული დავალიანება	458,132
კრედიტორული დავალიანება	674,236
სხვა ვალდებულებები	220,484

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ თავის დაკავშირებულ მხარეზე, კერძოდ კი მფლობელზე გასცა დივიდენდი 2,917,060 ლარის ოდენობით. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 10. მენეჯმენტის ხელფასმა და სხვა სარგებელმა შეადგინა 1,979,820 ლარი.

12. პირობითი ვალდებულებები

2019 წლის 30 ივნისისა და 2018 წლის 1ივლისის მდგომარეობით პირობითი ვალდებულებები შეადგენდა:

	2019
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები	
ერთ წლამდე პირობითი ვალდებულებები	132,796
ერთიდან ხუთ წლამდე პირობითი ვალდებულებები	663,982
სულ	**796,778**

13. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი („COVID-19“) პანდემიად გამოაცხადა. გაურკვეველია, რამდენად შეაფერხებს ეს პანდემია მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას და რა გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე. COVID-19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა საქართველოში დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. COVID-19-ის გავრცელების შესაჩერებლად საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი ზომები მიიღო, რამაც სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. კომპანია აკვირდება, რამდენად აისახება კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება თავის საქმიანობაზე, მომხმარებლებზე და თანამშრომლებზე და ასრულებს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოება და თავისი საქმიანობის უწყვეტობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, სავარაუდოდ, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა ჯერ ნაადრევია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება. კომპანია კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებას ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ დამდგარ, არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს.

შპს “იუაი”

მმართველობითი ანგარიშგება
2019 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისათვის

კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები

შპს „იუაი“ (შემდგომში EY ან „კომპანია“) საქართველოში მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც არის გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედის“ (შემდგომში EYG) წევრი ფირმა. კომპანიის 51%-ს ფლობს ოთხი პარტნიორი: მარჩელო გელაშვილი 12.75%, ოლეგ იუშენკოვი 12.75%, რუსლან ხოროშვილი 12.75% და ანასტასია ვინოგრადოვა 12.75%; ხოლო 49%-ს ფლობს „ერნსტ ენდ იანგ ჰოლდინგს (დსთ) ბი. ვი. („ერნსტ ენდ იანგ დსთ“), რომელიც არის EYG-ის წევრი ფირმა და დსთ-ის ქვეყნებსა და საქართველოში EYG-ის წევრი ფირმების ჰოლდინგური კომპანია. „ერნსტ ენდ იანგ დსთ“ არის ჰოლანდიური კერძო კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობით.

საქართველოში EY უკვე 26 წელია, რაც საქმიანობს და მისი გუნდი ორასამდე სპეციალისტისგან შედგება. EY საფუძველს იღებს „ქართული საკონსულტაციო ჯგუფიდან“ (ჯი-სი-ჯი), რომელიც 1993 წელს დაარსდა და, 2003 წელს EY-სთან გაერთიანებამდე, საქართველოში პროფესიული მომსახურების ლიდერი იყო. 2003 წელს, ადგილობრივი წარმომადგენლობის გახსნით, EY გახდა პროფესიული მომსახურების პირველი საერთაშორისო კომპანია, რომელმაც საქართველოში მუდმივი საქმიანობა დაიწყო. მას შემდეგ EY-ის ყოველთვის აღიარებდნენ, როგორც აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურების ლიდერს საქართველოში.

კომპანიის საოპერაციო საქმიანობას წარმართავენ ადგილობრივი პარტნიორები.

EY-ის დიდი გამოცდილება აქვს ეკონომიკის ყველა სექტორში მოღვაწე უმსხვილესი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების მომსახურებაში. EY აუდიტორულ მომსახურებას უწევს 100-ზე მეტ წამყვან კომპანიასა და უმსხვილეს ბანკს. კომპანიას აუდიტორული მომსახურების ბაზრის 22% უკავია.

EY თავის მომსახურებას ოთხ ძირითად კატეგორიაში მოიაზრებს: მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურება, საგადასახადო და იურდიული მომსახურება, საკონსულტაციო მომსახურება, ფინანსურ გარიგებებთან დაკავშირებული მომსახურება. ბოლო ორი მიმართულების მომსახურება საქართველოში 2015 წელს დაინერგა და ამ დროიდან ჩვენი კომპანია საქართველოში ახდენს EY-ის გლობალური მომსახურებების სრულ ადგილობრივ წარმომადგენლობას. მას შემდეგ EY-მ მონაწილეობა მიიღო საქართველოში ბოლო სამი წლის განმავლობაში შემდგარ ყველა მსხვილ გარიგებაში და წარმატებით დაასრულა 50 პროექტი. EY-ის ფინანსური საკონსულტაციო მომსახურება გულისხმობს მსხვილი ინფრასტრუქტურული კლიენტების მომსახურებას, საბაზრო და ტექნიკურ-ეკონომიკურ (განხორციელებადობის) კვლევას, წინასაინვესტიციო შემოწმებას, შეფასებას და სხვა. საკონსულტაციო მიმართულება სპეციალიზდება ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების, რისკის მართვისა და საქმიანობის შედეგების გაუმჯობესების მომსახურებებზე.

კომპანიის საგადასახადო და იურდიული პრაქტიკა კლიენტებს ეხმარება გადასახადებთან შესაბამისობასა და ანგარიშგების ვალდებულებების გააზრებაში და მათ პასუხისმგებლობით მართვაში. საგადასახადო პრაქტიკის გუნდის დახმარებით კლიენტები საგადასახადო ფუნქციის პროცესებს, კონტროლებს, რისკის მართვასა და მონიტორინგს აუმჯობესებენ და საგადასახადო ორგანოებთან ეფექტურ ურთიერთობას ინარჩუნებენ. EY-ის საგადასახადო პრაქტიკა მომსახურებების ფართო სპექტრს აერთიანებს: ბიზნესის საგადასახადო მომსახურება, გლობალური კანონშესაბამისობა და ანგარიშგება, გლობალური კანონმდებლობა, ბუღალტრული და საგადასახადო მომსახურება, ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება და ოპერაციების დაბეგვრა. EY-ის ყავს სატრანსფერო ფასწარმოქმნის და აღრიცხვის, შესაბამისობის და ანგარიშგების მომსახურების ადგილობრივი გუნდები. EY-ის იურიდიული პრაქტიკა წლების განმავლობაში მუშაობს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს კორპორატიულ თუ კომერციულ ტრანსაქციებზე. EY-ის იურიდიული პრაქტიკა საქართველოში ერთერთი წამყვანი პრაქტიკაა Chambers and Partners და Legal 500-ის რეიტინგების მიხედვით.

კლიენტებთან თანამშრომლობით და ბაზარზე საქმიანობით EY გლობალური მიზნისკენ - უკეთესი მსოფლიოს მშენებლობისკენ - ისწრაფვის. ჩვენ მთელს ცოდნას და ენთუზიაზმს ვახმართ კლიენტებისთვის უნაკლო მომსახურების გაწევას. კომპანია ცდილობს ინვესტიციების ჩადებას ისეთ მექანიზმებში, რომლებიც მას საქმიანობის გაუმჯობესებაში, გუნდების მაღალი დონის პროფესიონალებით დაკომპლექტებაში, მისი საქმიანობის მიმართ ნდობის მოპოვებასა და შენარჩუნებაში დაეხმარება.

EY-ის რეპუტაციას განაპირობებს თავისი ყველა კლიენტისთვის მაღალი ხარისხის პროფესიული მომსახურების ობიექტურად და ეთიკურად გაწევა.

საკადრო პოლიტიკა

2019 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 190 ადამიანი.

კომპანიაში დასაქმებულები არიან საერთო ღირებულებების გარშემო გაერთიანებული ადამიანები:

- რომლებიც ავლენენ კეთილსინდისიერებას, ურთიერთპატივისცემას და გუნდურობას;
- რომელთაც გააჩნიათ ენერგია, ენთუზიაზმი და სიმამაცე რათა იყვნენ ლიდერები;
- რომლებიც ამყარებენ სწორ საქციელზე დამყარებულ ურთიერთობებს.

კომპანიის მიზანია შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომლების პირადი და პროფესიული განვითარებისთვის საუკეთესო გარემოს საქართველოში. კომპანიაში დანერგილია თანამშრომლების პროფესიული და აკადემიური განვითარების რუკები და სავალდებულო განგრძობითი სწავლების სტანდარტები. დიდი დრო ეთმობა თანამშრომლების პერიოდული შეფასების, განვითარების არეების იდენტიფიცირების და მათზე მუშაობის პროცესებს.

ჩვენ თანამშრომლებს აქვთ შემდეგი პროფესიული სერტიფიკატები და წოდებები:

სერტიფიკატის ან წოდების დასახელება	რაოდენობა
სერტიფიცირებული საჯარო ბუღალტერი (US CPA)	5
სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის წევრი (ACCA)	6
საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ ლიცენზირებული აუდიტორი	10
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ სერტიფიცირებული ადვოკატი	6
სამართლის დოქტორი	1
შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებული უძრავი ქონების შემფასებელი	1

კომპანიის ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

	2019	2018
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	190	190
შემოსავალი ‘000 ლარი	18,289	16,805
აქტივების ჯამური ღირებულება ‘000 ლარი	14,754	10,748

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

EY-ის გლობალური მიზნისკენ - უკეთესი მსოფლიოს მშენებლობისკენ - სწრაფვა მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობას მოითხოვს. კომპანიის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება ადამიანებსა და გარემოზე ზრუნვაა. კომპანიის სოციალური აქტივობები მოიცავს კულტურულ, სპორტულ და საქველმოქმედო პროექტებს.

კომპანია სპონსორობას უწევს ააიპ რაგბის კლუბ აიას, საქართველოს რაგბის კავშირის მიერ ორგანიზებულ 2019/2020 წლების სეზონის სარაგბო ჩემპიონატს „დიდი 10“. ასევე ვაჯილდოებთ მატჩის საუკეთესო მონაწილეს.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა (გაგრძელება)

კომპანია ზრუნავს ქვეყანაში სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე და წლების მანძილზე ახორციელებს შემდეგ საქველმოქმედო ღონისძიებებს და პროექტებს:

- აფინანსებს საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირ „კათარზისში" ასაკოვანი მოსახლეობისათვის გამართულ საქველმოქმედო სადილს;
- სხვადასხვა სახის დახმარებას უწევს მოხუცთა პანსიონ „სიკეთის ლამპარს“ მათი საჭიროებიდან გამომდინარე;
- EY და მისი თანამშრომლები ყოველწლიურად უფინანსებენ სწავლის საფასურს „პირველი ნაბიჯის“ სტიპენდიის პროგრამის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს. აღნიშნული სტიპენდია საშუალებას აძლევს ბავშვებს მიიღონ დღის ცენტრის სრულფასოვანი მომსახურება;
- პროექტის „ჩართე“ ფარგლებში 10 სოციალურად დაუცველ მოსწავლეს გადაეცა კომპიუტერი და ჩაერთო ინტერნეტი;
- კომპანიამ, თავისი წვლილი შეიტანა საქველმოქმედო ორგანიზაცია „საქართველოს ამერიკელი მეგობრების“ მიერ განხორციელებულ ძეგვის თავშესაფრის რეაბილიტაციის პროექტში. ახალგარემონტებულ შენობაში მოეწყო სამედიცინო შემოწმების და სარეაბილიტაციო თერაპიის კაბინეტები;
- EY-მ მონაწილეობა მიიღო „ჰოსპისი ფერისცვალების “დასახმარებლად გამართულ ღონისძიებაში;
- გენდერული თანასწორობის მიმართულებით წვლილის შეტანის მიზნით, გრძელდება კომპანიის თანამშრომლობა რეგიონული განვითარების საზოგადოების (RDS) სასტიპენდიო ფონდთან;
- კომპანიის თანამშრომლები ყოველწლიურად იღებენ მონაწილეობას საქველმოქმედო მარათონებში, საიდანაც შემოსული თანხები მიემართება სხვადსხვა სოციალური პროექტის დასაფინანსებლად.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ფინანსური რისკები

ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი რისკი კომპანიისთვის არის კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული გლობალური პანდემია. გაურკვეველია, რამდენად შეაფერხებს ეს პანდემია მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას და რა გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საკრედიტო, ლიკვიდურობის ან ფულადი ნაკადების რისკები.

პროფესიული რისკები

კომპანიისთვის ძირთადი რისკი მომსახურების გაწევასთან, განსაკუთრებით კი აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარისხის რისკია.

EY მუდამ ზრუნავს აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებაზე. აუდიტორული მომსახურების ხარისხის მუდმივი დახვეწა ჩვენგან მოითხოვს აუდიტის განხორციელებისადმი მიდგომების გადახედვას, ადრე გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორებას, მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკების ათვისებას და მათ დანერგვაში პირველობას.

პროფესიული რისკები (გაგრძელება)

EY-ის აუდიტის პრაქტიკა და ჩვენი რეგისტრირებული დამოუკიდებელი აუდიტორები ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ექვემდებარებიან სავალდებულო შემოწმებას. შემოწმების ფარგლებში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური აფასებს ხარისხის კონტროლის სისტემებს და მიმოიხილავს შერჩეულ გარიგებებს. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა ხარისხის უზრუნველყოფის ბოლო შემოწმება 2017 წელს ჩაატარა. შემოწმების საბოლოო ანგარიში 2017 წლის 13 დეკემბრით არის დათარიღებული. EY-ის მიენიჭა პირველი კატეგორიის საწარმოს სტატუსი. ჩვენ გულისყურით და პატივისცემით ვეკიდებით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის შემოწმების პროცესს და საფუძვლიანად ვეცნობით შემოწმების პროცესში წამოჭრილ საკითხებს, რათა გამოვავლინოთ აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები. აუდიტორული საქმიანობის ხარისხის მიმოხილვის პროცესთან ერთად, გარე შემოწმებებიც გვეხმარება იმაში, რომ ჩვენი კლიენტების ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენი აუდიტი და მასთან დაკავშირებული კონტროლის პროცესები მაქსიმალურად დავხვეწოთ.

ჩვენს კომპანიაში არის დანერგილი მდგრადი აუდიტის ხარისხის პროგრამა, რომელიც მოიცავს აუდიტის ხარისხის ყველა ასპექტს. მდგრადი აუდიტის ხარისხის პროგრამა გამოხატავს ჩვენს ძალისხმევას უზრუნველვყოთ მთელს მსოფლიოში თანაბრად მაღლი ხარისხის აუდიტის მომსახურების გაწევა. უფრო დაწვრილებით ჩვენი ხარისხის მართვის პროგრამებსა და ძალისხმევაზე შეგიძლიათ წაიკითხოთ ჩვენს ვებგვერდზე - https://www.ey.com/en_gl/audit-quality.

_____

რუსლან ხოროშვილი
დირექტორი
1 ივნისი, 2020

პროფესიული რისკები (გაგრძელება)

EY-ის აუდიტის პრაქტიკა და ჩვენი რეგისტრირებული დამოუკიდებელი აუდიტორები ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ექვემდებარებიან სავალდებულო შემოწმებას. შემოწმების ფარგლებში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური აფასებს ხარისხის კონტროლის სისტემებს და მიმოიხილავს შერჩეულ გარიგებებს. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა ხარისხის უზრუნველყოფის ბოლო შემოწმება 2017 წელს ჩაატარა. შემოწმების საბოლოო ანგარიში 2017 წლის 13 დეკემბრით არის დათარიღებული. EY-ის მიენიჭა პირველი კატეგორიის საწარმოს სტატუსი. ჩვენ გულისყურით და პატივისცემით ვეკიდებით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის შემოწმების პროცესს და საფუძვლიანად ვეცნობით შემოწმების პროცესში წამოჭრილ საკითხებს, რათა გამოვავლინოთ აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები. აუდიტორული საქმიანობის ხარისხის მიმოხილვის პროცესთან ერთად, გარე შემოწმებებიც გვეხმარება იმაში, რომ ჩვენი კლიენტების ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენი აუდიტი და მასთან დაკავშირებული კონტროლის პროცესები მაქსიმალურად დავხვეწოთ.

ჩვენს კომპანიაში არის დანერგილი მდგრადი აუდიტის ხარისხის პროგრამა, რომელიც მოიცავს აუდიტის ხარისხის ყველა ასპექტს. მდგრადი აუდიტის ხარისხის პროგრამა გამოხატავს ჩვენს ძალისხმევას უზრუნველვყოთ მთელს მსოფლიოში თანაბრად მაღალი ხარისხის აუდიტის მომსახურების გაწევა. უფრო დაწვრილებით ჩვენი ხარისხის მართვის პროგრამებსა და ძალისხმევაზე შეგიძლიათ წაიკითხოთ ჩვენს ვებგვერდზე - https://www.ey.com/en_gl/audit-quality.

რუსლან ხოროშვილი
დირექტორი
1 ივნისი, 2020